

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა  
საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები

ნინო ნოზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ტანგიაშვილი, მოწვეული პედაგოგი

თანახელმძღვანელი: ნინო დოლიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ნოზაძე

07.07.2020

## აბსტრაქტი

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა ქვეყნის მდგრადი განვითარების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ დღეს ურბანული დასახლებების სწრაფი განვითარების პარალელურად სულ უფრო რთული ხდება მაღალმთიანი არელების აქტიურად ჩართვა ქვეყნის საერთო სოციო-ეკონომიკური განვითარების პროცესში.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო თანაბრად ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, მათ შორის, კანონის მეშვეობით ქმნის განსაკუთრებულ პირობებს მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისთვის.

მოცემული ნაშრომის მიზანია მაღალმთიანი რეგიონების მიმართ არსებული სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზზე დაყრდნობით აღნიშნული პოლიტიკის ეფექტურობის შეფასება, გამოწვევების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

საკვლევი საკითხის შესწავლამ და მთის პოლიტიკის განხორციელების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტების ანალიზმა აჩვენა, რომ მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. აღნიშნული პოლიტიკის არაეფექტურ ხასიათს, პირველ რიგში, იწვევს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონში არსებული და იმპლემენტაციის პროცესში აღმოჩენილი ხარვეზები. აღნიშნული გამოწვევები მნიშვნელოვნად აფერხებს სახელმწიფოს მხრიდან მაღალმთიან დასახლებებში ეფექტური ინტერვენციების განხორციელებას.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში მაღალმთიანი დასახლებების მიმართ არსებული პოლიტიკის ძირითადი ასპექტები და მომზადებულია პოლიტიკის ალტერნატივები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მაღალმთიანი დასახლებები, მთის განვითარების პოლიტიკა, საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ

## **Abstract**

The highland regions development policy is an important part of the country's sustainable development. It should be noted that today, in parallel with the rapid development of urban settlements, it is becoming increasingly difficult to actively involve highland areas in the overall socio-economic development of the country.

According to the Constitution of Georgia, the state equally cares for the equal social and economic development of citizens throughout the country, including through the creation of special conditions for the development of highland regions.

The aim of this paper is to evaluate the effectiveness of this policy based on the analysis of the existing state policy towards the highland regions, to identify the challenges and to prepare relevant recommendations.

The study of the research issue and the analysis of the tools used in the implementation of the mountain policy have shown that the development policy of the highland regions faces a number of challenges. The ineffective nature of this policy is primarily due to the shortcomings in the law on the development of mountainous regions and the shortcomings in its implementation process. These challenges significantly hinder the implementation of effective interventions by the state in highland settlements.

The paper analyzes the main aspects of the existing policy towards highland settlements in Georgia and prepares policy alternatives.

Keywords: Highland Settlements, Mountain Development Policy, Law of Georgia on the development of high mountainous regions

## მადლობა

მადლობას ვუხდით ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის სამეცნიერო ხელმძღვანელს, მოწვეულ პედაგოგს, ბატონ ნოდარ ტანგიაშვილს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ნინო დოლიძეს.

მადლობას ვუხდით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებს, რომლებმაც დახმარება გამიწიეს ნაშრომის მომზადებისთვის საჭირო მასალებისა და სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების პროცესში.

მადლობას ვუხდით ჩემი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს მხარდაჭერისთვის.